**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

**ოქმი №7**

**11/09/2017 წელი** **ქ. ბათუმი**
**11[00] საათი.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე და ზურაბ გოლიაძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

**1. დადგენილება**
„უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

**2. განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ;

**3. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. დადგენილება**
„უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

**2. განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ.

**1. დადგენილება**
**„უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულების შინაგანაწესს ამტკიცებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, შესაბამისად არსებული კომისიის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საარჩევნო საარჩევნო კომისიის შინაგანაწესი უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად რადგან კანონმდებლობის შესაბამისად ხელმძღვანელის (უსკოს თავმჯდომარის) ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, მიღებული იქნეს უსკოს ახალი შინაგანაწესი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**დადგენილება მიღებულია:**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 აპრილის №5 დადგენილება „უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ 27. 04. 2007 წ. №66).

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**2. განკარგულება**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსკოს 2006 წლის 19 მაისის N4 დადგენილებით დამტკიცებული აქვს რეგლამენტი სადაც ზოგადად გაწერილია უსკოს სამსახურების ფუნქციები, თუმცა რეგლამენტით არ არის დადგენილი (დაზუსტებული) თითოეული თანამშრომლის ფუნქცია შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით გაიწერა როგორც სამსახურების ასევე თანამშრომელთა ფუნქციები და ამოცანები.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

**1.** დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურების დებულებები:

ა) საოქმო სარეგისტრაციო სამსახურის დებულება ***(დანართი №1);***

ბ) იურიდიული სამსახურის დებულება ***(დანართი №2);***

გ) საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის დებულება ***(დანართი №3);***

დ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის დებულება ***(დანართი №4);***

ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება ***(დანართი №5);***

ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება ***(დანართი №6);***

ზ) ინსტიტუციური განვითარების სამსახურის დებულება ***(დანართი №7).***

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*(თან ერთვის)*

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე** **პარმენ ჯალაღონია**

**კომისიის მდივანი** **სოფიო კახაძე**